

როგორ ვასწავლოთ ეფექტურად ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

ნატო ქობულაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია:

სტატიაში საუბარია ინლუზიური განათლების განხორციელების პრობლემატიკაზე. კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების თავისებურებებზე, მასწავლებლის როლსა და კომპეტენციებზე. მოცემულა რეკომენდაციები, რაც განაპირობებს ეფექტურ სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, მასწავლებელი, მოსწავლე.

შესავალი

ინკლუზიური განათლება საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. სკოლის საგანმანათლებლო რეფორმების ამოსავალი წერტილი მოსწავლე და მისი მოთხოვნილებებია. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები დააკმაყოფილოს. შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონის საჯარო სკოლებში. ამავე დროს, მასწავლებლის სახელმწიფო სტანდარტში გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპების ცოდნის აუცილებლობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე სასწავლო წელის ინოვაციამ-სპეციალური მასწავლებლის სამტატო ერთეულის დაშვების შესახებ- დიდი ინტერესი გამოიწვია საჯარო სკოლებისა და მასწავლებელთა სივრცეში. აღნიშნული ინიციატივა მიმართულია კონკრეტული მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) კი წარმოადგენს ამ პროცესის ხერხემალს. მაგრამ მნიშვნელოვანია ხარისხიანად მიმდინარეობს თუ არა აღნიშნული პროცესი და რამდენად ორიენტირებულია რეალურ შედეგებზე.

პრობლემატიკა

სკოლებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან სისტემატიური პროფესიული თანამშრომლობისა და კვლევის განხორციელების შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები ერთჯერადად შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტაციის შექმნით შემოიფარგლებიან, რაც თავისთავად ვერ იქნება სსსმ მოსწავლეთა სწავლების შედეგებზე გათვლილი. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლები თვლიან, რომ ისგ გეგმა მხოლოდ სპეც. მასწავლებელმა ან სკოლის ფსიქოლოგმა უნდა შეადგინოს და სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვაზე მხოლოდ აღნიშნულმა სპეციალისტებმა უნდა იზრუნონ. აღნიშნული პრობლემა ზოგადად გამომდინარეობს მასწავლებელთა

კომპეტენციის დაბალი დონით, რაც ინდივიდუალური გეგმის შედგენისას და განხორციელებისას ვლინდება.

პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზები

საგნის მასწავლებლის როლი ინკლუზიური განათლების დანერგვაში უფრო მეტია, ვიდრე ეს პედაგოგებს წარმოუდგენიათ. ფაქტები მოწმობს, რომ მიუხედავად განათლების სისტემაში გატარებული რეფორმებისა და მასწავლებელთა გადამზადებისა, გარკვეული ნაწილი მასწავლებლებისა არიდებს თავს ჩართოს სსსმ მოსწავლეები სასწავლო პროცესში და შეუდგინოს მათ მიზანმიმართული, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ისე გეგმა.

აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია კონკრეტულ პრობლემაზე გაკეთდეს ანალიზი და გაეწიოს რეკომენდაციები მასწავლებლებს ინკლუზიური განათლების ხარისხიანი განხორციელებისათვის. ამისათვის მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც გუნდური მუშაობის პროდუქტი და სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტი:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) წერილობითი დოკუმენტია, შექმნილი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ვერ სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ისგ-ში ასახულია სასწავლო მიზნები, რომლებსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ დროის განსაზღვრულ პერიოდში, სწავლების სტრატეგიები და ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია ისგ-ში დასახული მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო, ანუ სასწავლო გეგმა, როგორც წერილობითი დოკუმენტი, შედგება 7 კომპონენტისაგან:

1. ინფორმაცია მოსწავლის შესახებ;
2. მოსწავლის ფუნქციონირების დონე, რაც აისახება მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერაში;
3. სასწავლო მიზნები;
4. მისაღწევი შედეგები;
5. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და მასალები;
6. გუნდის წევრების ვინაობა და სპეციალობა (ვინც უნდა განახორციელოს ი.ს.გ.);
7. შეფასების გეგმა და განრიგი.

კონკრეტულად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა:

- აღწერს კონკრეტული მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და მომსახურებას მისი საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, რომლებითაც განისაზღვრება მოსწავლის სწავლისა და ნაწავლის დემონსტრირების უნარი.
- შეიცავს განსაკუთრებულ მომსახურებათა ჩამონათვალს, რომელიც უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ მოსწავლემ დაიკმაყოფილოს აკადემიური მიღწევის მოთხოვნილება და დაეხმაროს მას თავისი აკადემიური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების დაფიქსირებაში;
- ხაზგასმით აღნიშნავს აკადემიურ მოლოდინებს და იცვლება ასაკის შესაბამისად,

გარკვეულ საგნებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით;

- საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ალტერნატიულ მოლოდინებს, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ეროვნულ სასწავლო გეგმაში;
- წარმოადგენს სპეციფიკური ცოდნისა და უნარების ჩამონათვალს, რომელიც ფასდება და გადაიხედება მოსწავლის წარმატებების ან/და ალტერნეტიული მოლოდინების დასაფიქსირებლად;
- ეს არის ერთგვარი ანგარიში მოსწავლისათვის, მისი მშობლებისა და ყველა სპეციალისტისათვის, რომელთაც აქვთ აღებული პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყონ მოსწავლის აკადემიურ წარმატებას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით;
- დეტალური აღწერა ყველაფრისა, რასაც მოსწავლეს ვასწავლით;
- ჩვეულებრივ საკლასო გარემოში გამოყენებული პედაგოგიური მიდგომების(სტრატეგიების) ჩამონათვალი;
- დოკუმენტი, რომელშიც წერილობითი ფორმითაა დაფიქსირებული აკადემიური მოლოდინები, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ არის მოდიფიცირებული და ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული;
- ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმა

ისგ გამიზნულია იმისთვის, რომ დაეხმაროს:

- მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს შედეგიანი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- სამეურვეო საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციას, გაარკვიოს, თუ რა არის მათი პასუხისმგებლობა კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით;
- მშობლებს, მიიღონ არა მხოლოდ ამომწურავი ინფორმაცია ბავშვისთვის შექმნილი პროგრამის შესახებ, არამედ აქტიური მონაწილეობაც საკუთარი
- შვილების სასწავლო მიზნების დასახვაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ძირითადი ქვაკუთხედი ბავშვის სასწავლო საჭიროებებია. დაგეგმვის პროცესის შედეგად შესაძლებელი ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება და მორგება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად.

მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის სასწავლო საჭიროება, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილი მოითხოვდეს ინტენსიურ დაგეგმვასა და მონიტორინგს. ეროვნული სასწავლო გეგმისა და, ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტი არ მოითხოვს ადაპტირებასა და მოდიფიცირებას ყველა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის. ისგ-ს შედგენისას გათვალისწინებულია მხოლოდ ის სფეროები, რომლებიც შეფასების საფუძველზე განისაზღვრა, როგორც განსაკუთრებული დახმარებისა და ჩარევის სამიზნეები. მოსწავლის სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციის შედეგად გამოიკვეთება სასწავლო გეგმიდან რა და რამდენად ინტენსიურად საჭიროებს მოდიფიცირებასა და ადაპტირებას.

ისგ სჭირდება ყველა მოსწავლეს, რომლის სწავლება მოითხოვს დამატებით ადამიანურ

და მატერიალურ რესურსებს სასწავლო გეგმაში ცვილებების შეტანისათვის იმ მიზნით, რომ მან შეძლოს თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიიღოს შესაბამისი და სრულფასოვანი განათლება.

ტერმინოლოგიურად მოიხსენებენ ორ დეფინიციას: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი(შშმპ), და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე(სსმმ).

კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის უმთავრეს ამოცანას საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეული მოსწავლისთვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა წარმოადგენს. მასწავლებელმა ეს უნდა შეძლოს, მიუხედავად იმისა, რომ ის, განსხვავებულ მოსწავლეებთან განსხვავებული სტრატეგიებით და გეგმით მუშაობს. მაგალითად, დასაშვებია, რომ მასწავლებლის მიზანი პირველკლასელი მოსწავლეებისთვის იყოს დაფიდან მარტივი მაგალითების გადაწერის უნარის განვითარება; მათი თანაკლასელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დასახულ მიზანს კი წარმოადგენდეს წერის წინმსწრები ფიგურების ხატვის უნარის განვითარება. დაუშვებელია, რომ მასწავლებელი კლასის უმრავლესი მოსწავლეებისთვის გეგმავდეს მიზნის შესაბამის აქტივობას – დაფაზე წერდეს მაგალითებს, მოსწავლეები მას იწერდნენ რვეულში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კი ამ დროს უქმად იჯდეს და არ იყოს ჩართული რაიმე სახის წერილობით აქტივობაში. სწორი იქნება, თუკი პარალელურად, მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გეომეტრიული ფიგურების გაფერადებას ან გადახატვას დაავალებს. მეტიც მასწავლებელი, შეიძლება მის გვერდითაც დარჩეს, სანამ სხვა მოსწავლეები წერენ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე წახალისოს დავალების შესრულების პროცესში.

იმავდროულად, მასწავლებელი უნდა ეცადოს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული აქტივობები, არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან და საგაკვეთილო თემიდან ამოვარდნილი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვა მოსწავლეების მიზნებისგან სრულიად განსხვავებულ მიზანს ემსახურებოდეს. მაგალითად, მასწავლებლის მიზანია “მეტია-ნაკლებია” ცნებების განსაზღვრა და სწავლება, გამართლებული იქნება, თუკი მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სთხოვს კლასში მისთვის ნაცნობი საგნებიდან დასახელოს რომელია ბევრი და რომელია ცოტა. (ეს აქტივობა საგაკვეთილო კონტექსტს ეხმაურება). შესაბამისად, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს აღნიშნული უტოლობების ამოხსნას მოსთხოვს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაძლებელია “ბევრი” და “ცოტა” ნივთების დახატვა ან გაფერადება დაავალოს. ამ მიდგომის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყოველი აქტივობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და დასახული მიზნების გათვალისწინებით განსაზღვროს და არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი – მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, მან უნდა უზრუნველყოს ყველა თავისი მოსწავლის თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესსადა აქტივობებში.

იდეალური იქნება, თუკი მასწავლებელი მოახერხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და მიზნების გათვალისწინებას და თავისი საგაკვეთილო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ზუსტად იმავე საგაკვეთილო აქტივობებში იყოს ჩართული და იმ ხანგრძლივობით, როგორც სხვა მისი თანაკლასელები. მაგალითად, თუკი მასწავლებლის ერთი კონკრეტული დღის საგაკვეთილო განრიგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ზეპირ გამოკითხვას, მასწავლებელმა ზეპირი გამოკითხვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უნდა ჩართოს (ოღონდ შესაბამისად შერჩეული მეთოდით); თუკი დარჩენილი საგაკვეთილო პროცესი საკლასო წერით აქტივობას ეთმობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემაც უნდა განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, თუმცა შესაძლებელია, რომ როცა სხვები წერენ მან ხატოს, როგორც ეს წინა მაგალითში არის განსაზღვრული. არსებული რეალობიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის ამგვარად დაგეგმა ყოველთვის არ ხერხდება და ხშირად გამართლებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზეპირი გამოკითხვა სწორედ მაშინ განხორციელდეს, როდესაც მისი თანაკლასელები წერენ. ასე მასწავლებელი უფრო კონცენტრირდება ამ მოსწავლეზე; ან პირიქით, გამართლებულია მოსწავლემ ხატოს მაშინ, როდესაც სხვების ზეპირი გამოკითხვა ხორციელდება. ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეული სტრატეგია წინასწარ კარგად იყოს მოფიქრებული და ითვალისწინებდეს მოსწავლის შესაძლებლობებს, კლასის სტრუქტურას და საგაკვეთილო პროცესს. მთავარია, რომ მასწავლებელმა არ დაუშვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უქმად ჯდომა გაკვეთილზე, მაშინ როდესაც მისი თანაკლასელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი ხდება, მოსწავლისთვის გაკვეთილზე კლასის აქტივობებისგან სრულიად განსხვავებული აქტივობების შეთავაზებაც. მაგ., დასაშვებია, მოსწავლეს მასწავლებელმა დაფის გაწმენდა დაავალოს მაშინ, როდესაც კლასის სხვა მოსწავლეები საკონტროლოს წერენ ან მოსწავლემ ქართულის გაკვეთილზე ხატოს და აფერადოს, მაშინ როცა მისი თანაკლასელები სხვადასხვა ზეპირ და წერით აქტივობას ახორციელებენ. ამგვარი აქტივობები, ხშირ შემთხვევაში, საშუალებად გამოიყენება მოსწავლის საგაკვეთილო პროცესის მიჩვევის და ქცევის წესების გამომუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობები შეირჩეს და სხვა მოსწავლეების მხრიდან ზედმეტი ინტერესის გამო, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა არ გამოიწვიოს. ამგვარი აქტივობების გამოყენებისას, გადამწყვეტია, რომ მოსწავლეს ეს აქტივობები, დავალების სახით მასწავლებლისგან მიეცეს (ანუ ხატვა წამოიწყოს იმიტომ, რომ მასწავლებელმა დაავალა და არა იმიტომ, რომ მას ასე მოუნდა) და გაკონტროლდეს გაკვეთილის მსვლელობისას. შესაძლებლობის ფარგლებში დაიგეგმოს წყვილებსა და გუნდებში მუშაობა, სადაც სსსმ მოსწავლე ჩართული იქნება მისი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით და შეძლებს წარმოაჩინოს თავისი თავი დამოუკიდებლად, ან მასწავლებლისა და მოსწავლეების დახმარებით.

დასკვნა

ამრიგად, ინკლუზიური განათლების ეფექტური დანერგვისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროდუქტი. ეს პროდუქტი მიიღება ინდივიდუალური სწავლების დაგეგმვის აქტიური და ცოცხალი პროცესის შედეგად, რომელშიც მონაწილეობენ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ასევე სპეციალური განათლების მასწავლებლები, მშობელი, სკოლის ფსიქოლოგი, თუ საჭიროა, სხვა სპეციალისტები და ბავშვი. ისგ-ის შედეგიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ეფექტიანად იმართება მისი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი და როგორია ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი გუნდის წევრებს შორის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მნიშვნელოვანია შემუშავდეს სკოლის გუნდის მიერ სსსმ მოსწავლის მშობლის ჩართულობით. სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ კონკრეტული სსსმ მოსწავლის საჭიროებებიდან. აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ინტერესთა სფერო და შესაძლებლობები. წინასწარ მომზადდეს და შემუშავდეს თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები, დაიგეგმოს და განხორციელდეს სასწავლო/სასკოლო აქტივობები სსსმ მოსწავლის აქტიური და მიზანმიმართული ჩართულობით. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების სისტემატიურობა, მონიტორინგი და შედეგების /მიღწევების გაზომვა და გადახედვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განმამტიციებელთა სისტემის შემუშავება და კონკრეტულ მოსწავლეზე მორგება, რაც მიზანმიმართულად ზრდის სსსმ მოსწავლის თვითშეფასებას, დამოუკიდებლობის ხარისხსა და მოტივაციას.

გასათვალისწინებელია, რომ სისტემური მიდგომა და გუნდური მუშაობის პრინციპი (მასწავლებელთა, მშობელთა და სპეციალისტთა თანამშრომლობა, მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება) ეფექტურს ხდის ინდივიდუალური გეგმებით სწავლების პროცესს, რაც განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებულ დანერგვა-განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ.გაგოშიძე, თ.ჭინჭარაული, ქ.ფილაური, მ.ბაგრატიონი– ინკლუზიური განათლების პრინციპები - გამომცემლობა „ნეკერი“-2008
2. ა.ლადიძე, მ.ბაგრატიონი, თ.პაჭკორია-ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ევოვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი-2009
3. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა - გზამკვლევი მასწავლებლების და სასკოლო ადმინისტრაციისათვის. თბილისი 2009.